ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

04/08/2020

729-25-4-202008041753

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 729

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2021 წელს დასაფინანსებელი იდეების შერჩევის მიზნით მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2021 წელს დასაფინანსებელი იდეების შერჩევის მიზნით დამტკიცდეს:

ა) მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი, თანახმად დანართი 1-ისა;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) გამოყენების წესები და პირობები, თანახმად დანართი 2-ისა;

გ) იდეების წარდგენის, ანალიზის, ხმის მიცემის და ბიუჯეტში ასახვის ვადები.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2021 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში იდეების დაფინანსების ჯამური ოდენობა განისაზღვროს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 ოქტომბრის N1284 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ